1939 /2

ოქტომბრელი

1 9 3 9 წ. № 8

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 8
აგვისტო
1939 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი"
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., №34
ტელ. № 3-02-61

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	**გ. ქაჭახიძე** — ბაღის მცველი (ლექსი)	1
2.	**ნინო ნაკაშიძე** — ლაო-ჩენ (მოთხრობა)	2
3.	**არნო ონელი** — პირველი თვითმფრინავი მთაში (ლექსი)	6
4.	**ვ. ხალიფაშვილი** — ასლანა (მოთხრობა)	7
5.	**ალ. ტოლსტოი** — გლეხი და დათვი (იგავ-არაკი) თარგმანი **ლ. ჭიჭინაძისა**	11
6.	**გ. ცეცხლაძე** — თამაზი და გოგი (პოემა)	12
7.	**დ. შამათავა** — ჯიუტი (ზღაპარი)	14
8.	**ადამ ჩხაიძე** — იზოლდას ნახატი (ლექსი)	16
9.	**ციბალა** — ზოგი რამ ამერიკის ცხოვრებიდან	გარეკანის მე-3 გვ
10.	გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ **ი. ქოქიაშვილს.**

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჭიჭინაძე **პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი**

გადაეცა წარმოებას 20/VII 39 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13 VIII ფორმათა რაოდენობა 20-გვ. $9^1/_2 \times 14$

მთ. № 3030 ტირ. 4.900 შეკვ. № 851. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაღის მცველი

3545

სათნო, მშვიდი მოხუცია,
თეთრწვერა და მომღიმარი,
განუცდია ბევრი ტანჯვა,
ბრძოლის ქარი.

წარსულიდან რა არ ახსოვს,
ბრძოლის გზაზე რა არ ხახა,
არ დაეცა, არ წამხდარა,
ხაროობს ახლა.

თითქოს ჯანიც უბრუნდება,
ვაჟკაცურად რაც დაკარგა,
საქმეც ახლო გაიჩინა:
ბაღს დარაჯობს ფხიზლად, კარგად,
სიყვარულით იცავს ხეებს
და ყვავილებს კოხტად ნარგავს.

ყველა ფოთლის ენა იცის,
ვარდ-ყვავილებს იცნობს ყველას,
უყვარს მათთან საუბარი,
მათი შველა.

ბაღს ცელქები ხშირად მტრობენ,
არ იშლიან ხტუნვა-ყვირილს,
ტოტებს ტეხენ, ხეს კაწრავენ,
ხე კი ტირის.

გულწითელა ყვავილები,
სულ რომ გვინდა მათთან მისვლა,
ცელქი გოგის თავდასხმისგან
მან, თეთრწვერამ, ბევრჯერ იხსნა.

დადის, ცდილობს ლამაზ ხეებს
არ უვსებდნენ ცრემლით თვალებს,
წაქცეული მორცხვი ვარდი
დააყენოს ფეხზე მალე.

ყვავილებიც შეეხარიან,
ფოთლებს უთქვამთ მისი ქება,
დილით, როცა ბაღში შედის,
მთელი ბაღი ფეხზე დგება,
აქ ჭანდარი აძლევს სალამს,
იქ გვირილა ეგებება.



ბორჩალოს საბ. ბიბ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემ ჩენ

(დასასრული *)

— ჰო, შვილო ლაო-ჩენ, ჩემო ბიჭიკო, წადი, გაიქეცი, დამემშვიდობე და გაიქეცი.

— მერე, შენ, პაპავ და უხუცესო?

— ხომ იცი, მე სიარული არ შემიძლია და თანაც მე ბევრი ვიცოცხლე, თუ მომკლავენ, ისე არ გამიჭირდება სიკვდილი, როგორც შენ. ამიტომ გაიქეცი, შვილო.

— არა, პაპა, მე შენ არ დაგტოვებ.

სადღაც კიდევ გასკდა ყუმბარა, დაიგრუხუნა ზარბაზანმა. სოფელი დაცარიელდა, აზანზარებული სახლები კარებდაღებულები იცქირებოდნენ პაწია ეზოებში. უცებ ყველაფერი დაწყნარდა, ჩამიჩუმი აღარ ისმოდა ირგვლივ. დუმდნენ პაპა და ლაო-ჩენიც. მათ წინ გორაკზე შეფენილი ჩაის ტერასები ყუმბარებისაგან დათხრილი და ჩაშავებულ-დაფლეთილი გამოიყურებოდა. შორს, მთის ძირას შეფენილი ტყიდან გამოვიდა შეიარაღებული რაზმი და ფრთხილად წამოვიდა სოფლისაკენ. ფრთხილად შეიხედეს პირველ სახლში, შემდეგ მეორეში...

— პაპავ და უხუცესო, იაპონელი ჯარისკაცები მოდიან, ხედავ?

მოხუცმა გაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

— რამდენია?

— ცამეტია, პაპავ.

— მზვერავები იქნებიან, ლაო-ჩენ. დაიმალე, დაიმალე, როდესაც წავლენ, გამოდი.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ დასამალავი ადგილი არ ჩანდა. მაშინ ის გაიქცა სახლის უკან, აცოცდა სახლის სახურავზე და შეძვრა გაოლიანის ჩალების საბურავში.

ის ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა რაზმი მათ სახლს, როგორ თანდათან გათამამდნენ ჯარისკაცები და როგორ დაინახა უცებ ერთმა მოხუცი და მისკენ გამოიქცა.

— ოჰო, ბებერო ძაღლო, — უთხრა მან, — სად არიან შენი მეზობლები?

მოხუცი დუმდა.

— რაო, ლაპარაკიც კი არ გინდა?

მოხუცი ხმას არ იღებდა. იაპონელმა შეიხედა სახლში და სიხარულით გასძახა ამხანაგებს:

— ჩქარა, ჩქარა, აქ სადილი გაუწყვიათ ჩვენთვის.

ყველანი შეცვივდნენ და მაშინვე დაიწყეს თქაფათქუფით და ხრაშახრუშით ჭამა.

— კიდევ ექნებათ რამე, იქნება ხანშიცა [1]) აქვთ? — დაიძახა ერთმა.

რამდენიმე კაცი შეცვივდა საკუჭნაოში და სიცილხარხარით გამოიტანეს ხანში, დამარილებული თევზი, ხახვისა და ნივრის წნილი და ბრინჯი.

— ბრინჯი მოვხარშოთ, ბრინჯი. თბილი და გემრიელი ბრინჯი კარგია, დიდი ხანია არ გვიჭამია, სალამომდის დავისვენოთ.

იმათ ჩაყარეს ბრინჯი დიდ ქვაბში, შეუკეთეს ცეცხლი.

ლაო-ჩენს ესმოდა, როგორ დათვრნენ, ესმოდა იმათი დაბმული ენით ლაპარაკი, ხარხარი და სიმღერა. და უცებ მან შეშინებულმა დააჭყიტა თვალები. მართალი იყო თუ მოეჩვენა, რომ მათი სახლისაკენ განიერი სახელოების ფარფატით მოფაცფაცებდა, პეპელასავით, სიო-

*) იხილე ოქტომბრელი, № 7.

[1]) **ხანში** — გაუწმენდელ არაყს ეძახიან ჩინეთში. ძალიან ჩქარა ათრობს კაცს.

ხო. თვალები ამოიფშვნიტა. არა, ნამდვილად სიო-ხო მორბოდა. ლაო-ჩენ სწრაფად ჩამოსრიალდა ფაცხის კედელზე და სწორედ იმ დროს მოირბინა გოგონამაც პაპასთან.

პაპამ პირზე თითი მიიდვა. გოგონა გაშეშდა.

— სიო-ხო, რატომ მოხვედი? — უთხრა ლაო-ჩენმა, მოჰკიდა ხელი და გასწია გოგონა. — სახლის უკან დავიმალოთ, — უთხრა მან, — როცა წავლენ, გამოვიდეთ.

ისინი ფრთხილად აცოცდნენ და ჩაიმალნენ საბურავში.

სახლიდან ისევ ყვიროდნენ და ხარხარებდნენ, მაგრამ ხმაურობამ თანდათან იკლო. შემდეგ ერთი იაპონელი გამოვიდა სახლიდან და მიუახლოვდა მოხუცს. ხელში ხანშით სავსე ფიალა ეჭირა.

— ბებერო, შენ ისევ აქ ზიხარ? მუნჯი ხარ, ყრუ? სიარული არ შეგიძლია? ჰოო, სწორედ იმიტომაც დაგაგდეს აქ. დალიე ეს არაყი, ხედავ, იაპონელი რა ბიჭია! დალიე! ჰო, არ გინდა? მაშ მე დაგალევინებ, — და მთელი ფიალა არაყი შეასხა მოხუცს სახეში.

იაპონელი ისევ შებრუნდა სახლში. აღშფოთებული ლაო-ჩენ ჩამოსრიალდა ძირს, მაგრამ იაპონელი ისევ გამოვიდა ბარბაცით. მას ფიალა ისევ ეჭირა ხელში. მოხუცმა ასწია ორივე ხელი და თავი დააქნია. ლაო-ჩენ მიხვდა და ერთ ალაგას გაჩერდა სახლის კუთხეში.

— დალიე, ბებერო, — ლუღლუღით ეუბნებოდა იაპონელი მოხუცს. მოხუცი ნელა აქნევდა ფართექუდიან თავს. მის თაგვის კუდებივით გრძელ, თეთრ ულვაშებზე, ნიკაპზე ჩამოშვებულ გრძელ წვერსა და ყვითელ ლოყებზე ცრემლებივით წვეთდა არაყის გამჭვირვალე წვეთები.

— დალიე მეთქი, ბებერო! არ გინდა? არ გინდა და ნუ გინდა, მე მინდა, — და მან გადაკრა მთელი ფიალა არაყი, ხმაურით ამოისუნთქა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, დაბარბაცდა, დაეცა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა.

ლაო-ჩენ ფრთხილად მიუახლოვდა მას, შემდეგ სახლში შეიხედა. თორმეტი იაპონელი მთვრალი ეყარა. ზოგი ტახტზე, ზოგი ძირს, ჭილობზე. საჭმლის ნარჩენები მობნეული იყო ირგვლივ. ცამეტი თოფი ეყუდა კუთხეში და იქავე ეყარა ვაზნებით სავსე სავაზნეები. ბიჭი ერთ წუთს შეჩერდა, თვალები გაუბრწყინდა, დაავლო ხელი რამდენიმე თოფს, გარეთ გამოიტანა და ძალიან ჩუმად დაუძახა: — სიო-ხო!

სიო-ხო ჩამოსრიალდა მაღლიდან და მივიდა მოხუცთან და ლაო-ჩენთან, რომელიც რალაცას ჩურჩულით ელაპარაკებოდა პაპას. მან უცებ ასწია თავისი ფართე სახელო და სახე მოუწმინდა მოხუცს.

— შენც არ გამიჯავრდე, პაპავ და უხუცესო, დედას რომ გამოვექეცი.

ლაო-ჩენმა და სიო-ხომ ფრთხილად გამოიტანეს კიდევ თოფები, შემდეგ სავაზნეები.

— თოფებს დავმალავთ, პაპა, და პარტიზანებს შევატყობინებთ.

— მეც წამოვალ, ლაო-ჩენ.

— რასაკვირველია, სიო-ხო.

და ბავშვებმა გადაზიდეს თოფები და ვაზნები ბოსტნის ბოლოს, ხევში ჩასას-

ვლელ კლდეში რომ დიდი ნაპრალი იყო, და შიგ ჩააწყვეს. ზევიდან გაოლიანის ჩალა დააფარეს და გაიქცნენ პარტიზანებისათვის შესატყობინებლად.

მირბოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, წყალი სწყუროდათ, მაგრამ ეშინოდათ დაგვიანების, რომ გადაეხვიათ და ჭიდან წყალი ამოეღოთ. იმათ გადაირბინეს გორაკი, გავიდნენ მინდორში, მირბოდნენ და მათთან ერთად თითქოს მირბოდა მინდორი, ხეები, ბალახი, ყვავილები.

ტყვიამფრქვევს ისევ ისე გაჰქონდა სადღაც ტაცატაცუცი, ირგვლივ კი არავინ და არაფერი არ ჭაჭანებდა. მირბოდნენ ხევისაკენ, იქ კლდეებში იყვნენ ჩასაფრებული პარტიზანები. მიირბინეს თუ არა ხევის პირას, ლაო-ჩენმა დაუსტვინა. წინ გამოვიდა შეიარაღებული ჩინელი, მათი სოფლის პარტიზანი. ბიჭმა და გოგონამ ორივემ ასწიეს ცერები და მძიმე სალამი მისცეს. ისე აქოშინებულნი იყვნენ, რომ ერთბაშად ხმა ვეღარ ამოიღეს.

— რა ამბავია, ლაო-ჩენ?

— იქ, ჩვენ სოფელში, ტა-ტა-დე... ცამეტი იაპონელი... თოფები...

— რას ამბობ? იაპონელები? ხალხი დახოცეს? — შესძახა შეშინებულმა ტა-ტა-დემ.

— ხალხი არ არის... მთებში გაიხიზნენ, ტა-ტა-დე .. ჩვენ და პაპას მეტი არავინ დარჩა... ტა-ტა-დე... თოფები წავართვით... ჩქარა წამოდით... არ გაიღვიძონ... ჩქარა, ტა-ტა-დე! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა აქოშინებული ლაო-ჩენ.

მზე გადაიხარა, ჩრდილები დაგრძელდა, ყაყაჩოებმა დახუჭეს ბოსტნებში თვალები. ნიავმა დაუბერა, დაარხია ბაღებში ატმის ყვავილები და გადმოაბნია დედამიწაზე. სხივები შეიჭრა სახლში და კედლები და ძირს დაგებული ჭილობი ოქროსფრად ააპრიალა და თითქოს დაცინვით დაანათა იაპონელების ჯარისკაცებს სახეებზე.

ერთი ჯარისკაცი შეიშმუშნა, შეინძრა, გაიღვიძა და წამოჯდა იატაკზე. მიიხედ-მოიხედა. თერთმეტი მისი ამხანაგი ჭერეხებივით ეყარა ირგვლივ და ჯერ ისევ ეძინათ. მან სწრაფად მიიხედა კუთხისაკენ. და შეშინებული წამოხტა, საჩქაროდ გაღვიძა ამხანაგები და შესძახა:

— სად არის თოფები?

ყველას ერთბაშად გაეღვიძა და გამოფხიზლებულნი წამოცვივდნენ.

— მართლა სად არის თოფები, ვაზნები?

— უფროსი სადღაა? — დაიძახა ვიღაცამ.

— ჰოო. თოფებიც მას ექნება.

ყველანი გავიდნენ გარეთ.

უფროსი ისევ ისე ხვრინავდა პაპას ახლოს გაშხლართული.

მაგრამ როდესაც გააღვიძეს, თოფებისა და ვაზნების ამბავი არაფერი იცოდა.

ყველანი შიშმა და სიბრაზემ აიტანა და მივარდნენ მოხუცს.

— სად არის, ბებერო ტურავ, თოფები?

მოხუცი ხმას არ იღებდა, იჯდა ისევ ისე მოკეცილი და ნელა ირხეოდა.

— შეხედე, ხმასაც რომ არ იღებს!

— როგორ ზის კერპივით!

— ადექი ჩქარა!

— ბებერო ძაღლო, თქვი ჩქარა, სად წაიღე თოფები და ვაზნები, თორემ გაგათავე! — უყვიროდნენ მას. მოხუცი ხმას არ იღებდა, მის თეთრ წარბებქვეშ წვრილი ელამი თვალები თითქოს იღიმებოდნენ.

მოთმინებიდან გამოსულმა იაპონელებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ.

— მოვკლათ!

— ჩამოვახრჩოთ, ქვით, ან ჯოხით მოკვლა მაგისთვის საპატიოა.

— ჩამოვახრჩოთ.

გამოაბეს ხეზე ბაწარი.

— ადექი! — დაუყვირა უფროსმა, — თოფები მოიპარე და ადგომა არ შეგიძლია?

— სტყუის ბებერი მგელი!

მოხუცი ისევ ისე დუმდა.

— წავათრიოთ...

და წაათრიეს მოხუცი.

ორმა იაპონელმა უკვე ჩამოაბა ხეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაწარი, გაუკეთეს მარყუჟი და შიგ გააყოფინეს მოხუცს თავი.

— ასწი! — დაიძახა უფროსმა. და ერთმა იაპონელმა სწრაფად მოავლო ბაწარს ხელი და... გავარდა თოფი. იაპონელმა გაუშვა ხელი ბაწარს და უსულოდ დაეცა დედამიწაზე. ყველამ მიიხედა. მათკენ მორბოდნენ თოფებმოღერებული ჩინელი პარტიზანები.

ყველაზე წინ მორბოდნენ ლაო-ჩენ და სიო-ხო.

— შესდექით! — გაისმა მქუხარე ხმა და გაქვავებულ იაპონელებს გარშემოერტყა პარტიზანების რაზმი.

ლაო-ჩენ მივარდა პაპას, შეუხსნა კისერზე შებმული მარყუჟი, რომლის აწევა ველარ მოასწრეს იაპონელმა ჯალათებმა, და ეუბნებოდა:

— ოჰ, მაპატიე, პაპავ და უხუცესო, რომ მარტო დაგტოვე!

— ჩვენი თოფები! — შესძახა უფროსმა იაპონელმა.

— დიაღ, თქვენი თოფები! — უთხრა მათ მოხუცმა, — აი ამ პატარა ბიჭმა და გოგონამ აგართვეს იარაღი. მოხუცი ახლა მაღალ მუხასავით იდგა ლაო-ჩენსა და სიო-ხოს შუა, იმათ პატარა, მაგარ მხრებზე დაყრდნობილი. — დიაღ, ჩინეთი ჩვენია!

— ჩვენ სამშობლოს არავის დავუთმობთ... ჩვენ გავბოლშევიკდებით და ვერავინ ვერ გაგვიბედავს ომს! — შესძახა ლაო-ჩენმა.

სიო-ხომაც ასწია ხელი და დაუმატა:

— დიაღ, არავის არ დავუთმობთ...

პრანო ონელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი თვითმფრინავი ქთაში



1.

მხოლოდ წიგნში დამენახა
მე ფოლადის დიდი ორბი...
ერთხელ, დილით, გავიხედე —
ცელქი გივი ჩემკენ მორბის:

— იცი, ნოდარ, რა გახარო,
იცი, ჩვენ რა სეირს ვნახავთ?
თურმე, ჩვენში აეროპლანს
დღეს მოფრენა განუზრახავს.

— ნუთუ მართლა? აგვისრულდა
მაშ ამდენი წლების ნატვრა,
სინამდვილედ გადიქცევა,
რაც გვესმოდა დღემდე ზღაპრად!

2.

შუადღე რომ გადავიდა,
სხვა ღიმილი იწყო მზემაც,
ჰორიზონტმა მიიქცია
ჩვენი სოფლის თვალი, მზერა.
აეროდრომს მიაშურა
ყველამ — დიდმა და პატარამ,
რაიონის ხელმძღვანელმა
მიტინგიც კი ჩაატარა,
თქვა: „დღეიდან ჩვენს მთის სოფლებს
საჰაერო გზაც ექნება.“
— ვაშა, ამას რა სჯობია! —
გივი ნოდარს ეუბნება.

3.

მართლაც, შავი წერტილივით
შორს გამოჩნდა ჩიტი რაღაც,
მერე, როცა მოახლოვდა,
ფრთებსა შლიდა ისე ლაღად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არც არწივს მიაგავდა,
არც ორბსა და ყანჩა-წეროს...
გივი კვირობს: „შიგ ზის ვინმე?
ნუთუ, როგორ დავიჯერო!“
კიდევ წუთი ერთი... ორი,
სოფლის თავზე გაჩნდა უცებ,
ყველა ხარობს, თანაც ყველას
გამალებით გული უცემს.
მერე ცხადზე-ცხადი გახდა,
რა გმირობის ფერიც აჩნდა,
ფრთები არც კი მოუკეცავს,
ისე ნელა, დინჯად დაჯდა.
ატყდა ტაში. შეძახილებს
არ უჩანდა ბოლო, ზღვარი;
ყველა გულით იხარებდა —
მასპინძელი და სტუმარი.
ჩვენმა გივიმ და ხოდარმა
თაიგული უძღვნეს მფრინავს,
მან კი ჩასვა კაბინაში
და ღიმილით ეს დასძინა:
„გაიზრდებით, ჩემთან მოდით,
მე გასწავლით ცაში ფრენას,
მე გასწავლით თვითმფრინავის
გასაოცარ ხმას და ენას!“



ვანო ხაღიშვილი

ასლანა

ცხრა წელი შეუსრულდა თემოს. მრავალი საჩუქარი მიიღო მან ამ დღეს, მაგრამ ყველაზე უმეტესად კი გულითადი მეგობრის, გოგის, მიერ მიძღვნილმა საჩუქარმა გაახარა: ეს იყო მშვენიერი ჩიტუნა ოქროსფერი გალიით. უბრალო ბელურა ჩიტი კი არა, მას ჩიტბატონას ეძახიან, ზოგიერთ კუთხეებში კი „მორთული ჩიტის“ სახელითაც არის ცნობილი, რადგან პატარა ფრინველებს შორის ყველაზე ლამაზია და საუცხოოდაც გალობს. მართლაც რომ მორთულს ჰგავდა თემოს ჩიტბატონა. არაფერი სჯობდა მის ნახვას მაშინ, როდესაც იგი შეფრთხიალების დროს მარაოსავით გაშლიდა თავის ყვითლად და ლურჯად აჭრელებულ ფრთებს. შუბლს ალისფერი ხალი უმშვენებდა, გული კი ოდნავ მონაცრისფრო ბუმბულით ჰქონდა შემოსილი. ფანჯრიდან შემოსულ მზის შუქზე იხვის ყელივით ელვარებდა მისი მუქ-ლურჯი ბოლო.

თემო მზრუნველობით უვლიდა ჩიტუნას. დილდილობით თვით უსუფთავებდა გალიას, შეუდგამდა სუფთა წყალს, დაუყრიდა წვრილად დაფხვნილ პურს და ისე წავიდოდა სკოლაში. პატარა ფრინველი მაინც ვერ ეგუებოდა ტყვეობას, ფრთხიალებდა და ეხლებოდა გალიის კედლებს, ხან კი იჯდა გალიის კუთხეში მობუზულ-მოწყენილი, სევდიანი თვალებით ფანჯრისაკენ იცქირებოდა, რომლის იქით ხეებზე შემსხდარი ბელურები მხიარულად ჟღურტულებდნენ. ხანდახან ისიც მომართავდა თავის ქნარს და წყნარად დაიწყებდა სტვენას, მაგრამ ნაღვლიანი იყო ეს სტვენა, მოთქმა-გოდებას ჰგავდა იგი.

არა ერთხელ უთქვამს ბებიას თემოსათვის: რაზე სტანჯავ, შვილო, მაგ საცოდავს, გაუშვი, თავისუფლად გაინავარდოსო. მაგრამ ასე ადვილად როგორ შეელეოდა თემო მეგობრის ნაჩუქარ ჩიტუნიას. ერთ დილით ჩვეულებრივ გაწმინდა თემომ სამზარეულოს თაროსა და ფანჯარას შორის დაკიდებული გალია, საკენკი დაუყარა ჩიტუნას, წყალი შეუდგა და კმაყოფილი წავიდა სკოლაში. სკოლიდან რომ დაბრუნდა, მეტად გაუკვირდა, როდესაც ჩიტი არ დახვდა გალიაში.

— ბები! სად არის ჩემი ჩიტუნია?!

— ასლანამ მოიტაცა, შვილო, იმ პირშავმა, იმან, ის იყო ერთი წუთით გამოვედი სამზარეულოდან, შემოვბრუნდი თუ არა, სწორედ მაშინ ისკუპა ფანჯრიდან იმ შეჩვენებულმა, პირში საწყალი ჩიტუნა ეჭირა. ალბათ, გალიის კარი კარგად ვერ დაკეტე დილას, — მიუგო ბებიამ.

— რას ამბობ, ბები! ასლანა იმსიმაღლეზე როგორ შესწვდებოდა? — თემომ ეჭვის თვალით დაუწყო ყურება ბებიას.

— რა გაუძნელდება, შვილო, გაიძვერა ასლანას. ალბათ, ჯერ თაროზე ახტა და ისე გამოიყვანა ჩიტი გალიიდან...

ეს კი მართლა შესაძლებელი იყო, და თემოს სრულიად გაეფანტა ეჭვი ბებიას მიმართ.

— მა რა, შვილო, რამდენჯერ გითხარი: გაათავისუფლე, ნუ სტანჯავ მეთქი; არ დამიჯერე და იმ წყეულის მსხვერპლი შეიქნა! ვინ იცის, სად ყრია საბრალო ჩიტის ლამაზი ფრთები, აბა, რაზე დაიდე იმისი ცოდვა?

— ამან მთლად ცეცხლი მოუკიდა ისედაც აღშფოთებულ თემოს.

— დამაცადოს, დამაცადოს იმ ქურდბაცაცამ, იმ ავაზაკმა, მე ვუჩვენებ, როგორ უნდა გალიიდან ჩიტის მოტაცება!

თემოს ბუზღუნზე შემოცუნცულდა მისი პატარა შავხალებიანი ყურშა და ისე დაუწყო პატრონს ყურება, თითქოს ეკითხებოდა:

— ვინ გაგაჯავრა, მე ხომ არაფერი დამიშავებია?

* * *

ასლანას მეზობლის კატას ეძახოდნენ. დიდიხანი არ იყო, რაც ეს კატა თემოს შეეჩვია და დაუმეგობრდა; თემო ხშირად უმასპინძლდებოდა მას რძეში დამბალი პურით. მშვენიერი რამ იყო ასლანა, შვენოდა მოყვითალო ხასხასა ქათიბზე მუქი ყავისფერი ზოლები, პატარა ვეფხს წააგავდა. სახელიც შესაფერისი ჰქონდა: მამამ უთხრა თემოს, „ასლან“ სპარსულად ლომს ეწოდებაო. აღტაცებაში მოდიოდა თემო, როდესაც დაინახავდა ვეფხური ნაბიჯებით მისკენ მომავალ კატას, რომლის წყნარ სიარულშიაც კი სიმკვირცხლე და მოქნილობა გამოსჭვიოდა. მუდამ შეუპოვრად იყურებოდნენ ასლანას მწვანე თვალები, თრიათინასავით მარდი იყო იგი და ფიცხი, როგორც ფოცხვერი. უნდა გენახათ, რა გამძაფრებით დააცხრებოდა ხოლმე მიზანში ამოღებულ თაგვს. მხოლოდ ყურშას არ მოსწონდა თემოსა და ასლანას მეგობრობა, იგი შურიანი ღრენით გამოექანებოდა ხოლმე აივანზე წამოწოლილი კატისაკენ, მაგრამ თემო თითს დაუქნევდა ძაღლს და ეს საკმარისი იყო, რომ იგი გულნატკენი გაბრუნებულიყო და მიგდებულიყო აივნის კუთხეში, ასლანა კი ნიშნის მოგებით გადახედავდა გაწბილებულ ძაღლს და კმაყოფილებით შეექცეოდა რძეში დასველებულ პურს...

მაგრამ, ყურშას საბედნიეროდ, დიდხანს არ გატანა ასლანასა და თემოს მეგობრობამ.

ერთ მშვენიერ დღეს, სკოლიდან ახლადდაბრუნებულმა თემომ დაინახა ეზოში, ხის ძირას, ჩაცუცქებული კატა, მივიდა მასთან და ალერსით დაუწყო თავზე ხელის სმა.

მაგრამ ასლანა ვერ იყო მაშინ გუნებაზე, იქნებ იმიტომ, რომ თემო ჩვეულებისამებრ არ გაუმასპინძლდა რძიანი პურით. თემომ ხელში აიყვანა კატა, მაგრამ იგი ხელიდან დაუსხლტა და ისე მიაპყრო თავისი მომწვანო თვალები, თითქოს ეუბნებოდა:

— მომშორდი, არა ვარ შენ გუნებაზეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემო არ მოელოდა ამას ასლანასაგან. კვლავ შეეცადა მის ხელში აყვანას, მაგრამ კატამ ძლავრად ჩამოჰკრა მას თათი მკლავში. თემოს სიმწარისაგან ცრემლი მოადგა თვალებზე, გამეტებით დაანარცხა კატა მიწაზე და თან ლაზათიანი წიხლიც ამოსცხო.

***

აქედან დაიწყო მტრობა თემოსა და ასლანას შორის. განაწყენებული კატა ახლო აღარ ეკარებოდა ყოფილ მეგობარს, მხოლოდ ეზოში თუ შემობედავდა შემოსვლას, წამოწვებოდა მოშორებით მესერის ძირში, მაგრამ არც აქ მოასვენებდა მას თემოსაგან წაქეზებული ყურშა. იგი ყეფა-ღრენით გაექანებოდა ხოლმე კატისაკენ, მაგრამ ასლანა ისეთი კატა როდი გახლდათ, რომ ყურშასთანა ძალლისა შეშინებოდა, თავის მბრით ისიც მოემზადებოდა საბრძოლველად, აიყალყებოდა, ბასრ ბრჭყალებს მოიმარჯვებდა და ბოროტი ცეცხლი იელვებდა მის მწვანე თვალებში. ამ დროს იმისი ხმაც ლომის შორეულ ბრდღვინვას ემსგავსებოდა.

მხდალი ყურშა შედგებოდა განრისხებული კატის წინაშე. თემო მთავარსარდალივით დაჰყურებდა პირისპირ მდგომ მტრებს. რაკი შეატყობდა, რომ ყურშა ვერ ბედავდა ასლანასთან შებმას, თვითონ წამოავლებდა ჯოხს ხელს, გაემართებოდა კატისაკენ და დასჭყივლებდა:

— მიდი, ყურშა! ჰაი, მე ლაჩარო, მაგან როგორ შეგაშინა!

ყურშასაც მიეცემოდა გული და გამოედევნებოდა კატას, რომელიც ერთ წუთში მოექცეოდა სახლის სახურავზე, ბუხრის გვერდზე უშიშრად მოიკალათებდა და იქიდან თითქოს აღიზიანებდა დაბლა დარჩენილ თავის მტრებს.

***

თემომ გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა ასლანასათვის, საჭირო იყო მისი როგორმე შეპყრობა, ეს კი არც ისე ადვილ საქმედ მიაჩნდა მას, რადგან ცბიერი ასლანა არავის იკარებდა ახლოს. ერთ დღეს თემომ სარდაფიდან ხვნეშით ამოათრია ვეება, ძველისძველი, ჟანგისაგან შეჭმული პაპისეული ხაფანგი, დაუძახა მეზობლად მცხოვრებ მეგობარ კოტეს და გაანდო თავისი გადაწყვეტილება ასლანას მახით დაჭერის შესახებ. კოტეს ჯერ სიცილად არ ეყო თემოს წინადადება, შემდეგ კი დაეთანხმა მას და უთხრა: ვცადოთ, რასა ვკარგავთ, ცდა ბედის მონახევრეაო.

მეგობრებმა გულდასმით გასინჯეს ხაფანგი, რომელიც თუმცა მეტისმეტად ძველი იყო, მაგრამ მაინც გამოსადეგი აღმოჩნდა თავისი დანიშნულებისათვის. ეს ხაფანგი თემოს სხვა დროსაც ბევრჯერ ენახა სარდაფის კუთხეში მიგდებული, ყურადღება კი არასდროს არ მიუქცევია, იგი სათაგურს წააგავდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო, რომ თემოს მეტად უჭირდა მისი აწევა.

თუმცა თემოს პაპა მონადირე იყო, მაგრამ მაინც ვერ მიმხვდარიყო თემო, რად უნდოდა პაპას ეს ხაფანგი.

— რისაც არის, არის, რაში მეკითხება, ეს კი ვიცი, რომ თაგვებისათვის არ არის, კატების დასაჭერად კი გამოდგება, — იფიქრა ბოლოს თემომ და ბებიას ხორცის ხაჭერი სთხოვა ხაფანგის მარწუხზე წამოსაგებად.

ცოტა ხნის შემდეგ მომზადებული ხაფანგი თემომ და კოტემ დადგეს მესერსა და ალუბლის ხეს შუა, სადაც ამ ბოლო ხანებში მუდამდღე თითქმის ერთსადაიმავე დროს მოდიოდა ასლანა, წამოწვებოდა მიწაზე და იყო ისე, სანამ თემო და ყურშა შემოუტევდნენ.

— ახლა ავიდეთ აივანზე და იქიდან ვუყუროთ სეირს: მე ვიცი, მალე გაჩნდე-

ბა აქ ის საძაგელი, — უთხრა თემომ ამ-ხანაგს და ორივენი აივანზე ავიდნენ.

მაგრამ ასლანა არსად ჩანდა, იქნებ ალღოც აუღო მის წინააღმდეგ ვერაგულ შეთქმულებას. მეგობრები მოუთმენლად ელოდნენ მას, ბოლოს მოსწყინდათ ხაფანგისაკენ მზერა და წიგნის კითხვა დაიწყეს...

— ჩხაკ! — გაისმა უცებ ხაფანგის ხმა.

— აჰა, გაები, გაიძვერავ! — წამოიძახა აღტაცებულმა თემომ, წამოიჭრა ზეზე და ერთ წუთს მახესთან გაჩნდა.

მაგრამ... ვაი სირცხვილო! ამას რას ხედავს მისი თვალები: ხაფანგში წინა ფეხებით გაბმულიყო მისი ყურშა და გულსაკლავი წკმუტუნით ცდილობდა თავის დაღწევას. თემომ სწრაფად გაათავისუფლა ძაღლი, რომელსაც ორივე ფეხი ჩასისხლიანებული ჰქონდა.

— საიდან გამოტყვრა ეს საძაგელი! აქამდის არსად ჩანდა.

— ახია შენზე! ხომ გითხარი, ასლანასთანა კატასთან ვერაფერს გახდები მეთქი! ხო ხედავ, იმისმა მტრობამ ხეირი არ დაგაყარა, იმ დღეს ხელი დაგაკაწრა,



ერთი კვირის წინ ჩიტბატონა შეგიჭამა, ახლა კი იმის გულისათვის ძაღლი დაგიკოჭლდა. დაანებე თავი, თორემ მომდეგისათვის უფრო უარესი დაგემართება.

— ძაღლს ვინა ჩივის, მიკვირს, თვითონ არ გაება ხაფანგში ხელებით, — დაუმატა აივანზე გამოსულმა დედამაც. შერცხვენილი თემო ხელსახოცით უხვევდა ძაღლს დაშავებულ ფეხს და მოთმინებით იტანდა ბებიისა და დედის დაცინვას. ამ დროს კოტემ სახლის სახურავზე, სამტრედესთან, დაინახა ასლანა, რომელიც არხეინად ისუფთავებდა ლამაზ ბეწვს ნერწყვში დასველებული თათით და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ეზოში მყოფ თემოსა და ყურშას, რომლებმაც ის იყო ისეთი მარცხი განიცადეს მის გამო.

— ერთი შეხედე, — სიცილით მიუთითა კოტემ თემოს ასლანასაკენ.

თემომ აიხედა, მარჯვენა ხელი მუქარით აღმართა კატისაკენ და შესძახა:

— დამაცადე, გაიძვერა, ძაღლიც ხომ დამიკოჭლე, მაინც გადაგიხდი, არ შეგარჩენ, არა!

— ახლა კი არც კოტემ დაინდო თავისი გაწბილებული მეგობარი და მოსწრებულად იოხუნჯა:

— რომ იქადნები, რას დააკლებ, ბიჭო? გაიგე, რომ „უხარბაზნოდ არ იქნება ეშმაკ ასლანას დაჭერა“.

* * *

ყურშას მალე მოურჩა ფეხები. თემო კიდევ სდევნიდა ასლანას, სდევნიდა იქამდის, ვიდრე არ გაიგო, რომ კატას კი არ მოეტაცა მისი ჩიტბატონა, არამედ ბებიას გაეთავისუფლებინა იგი.

თემო არ დაემდურა ბებოს, პირიქით, ახლა გაეხარდა კიდეც მისგან ჩიტის გათავისუფლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხი და ლათვი

(დამუშავებული რუსული ფოლკლორიდან)

გლეხი ტყეში წავიდა ბოლოკის დასათესად. ხნავდა და ხნავდა მიწას. მასთან დათვი მივიდა და უთხრა:

— გლეხო, იცი, მე შენ რას გიზამ? დაგამტვრევ!

— ნუ მაშინებ, დათუნია, მოდი, ბოლოკი დავთესოთ საზიაროდ. ძირები ჩემი იყოს, თუ გინდა, შენი კი ფოთლები.

— კარგი, — უპასუხა დათვმა, — ხოლოთუ მომატყუე, მაშინ ამ ტყიდან შეშას აღარ გაგატან, — უთხრა და წავიდა ულრან ტყეში.

ბოლოკმა ძალიან ივარგა და გლეხი შემოდგომაზე მივიდა მოსათხრელად. ამ დროს დათვიც გამოვიდა ულრანი ტყიდან:

— გლეხო, მოდი, გავიყოთ ბოლოკი! ჩემი მე მომეცი.

— კარგი, ჩემო დათუნია, გავიყოთ: შენ — ფოთლები, მე კი ძირები.

გლეხმა სულ ფოთლები მისცა მას, ხოლო თავისი წილი ბოლოკი დაყარა ურემზე და ქალაქში წაიღო გასაყიდად.

გზაზე ისევ შეხვდა დათვი:

— გლეხო, შენ სად მიდიხარ?

— მივდივარ, დათუნია, ქალაქში ძირები უნდა გავყიდო.

— მომეცი გავსინჯო, როგორი ძირებია?

გლეხმა მისცა ბოლოკი. დათვმა როგორც კი გასინჯა:

— აა! — აღრიალდა, — გლეხო, მომატყუე! შენი ძირები გემრიელია, აწი აღარ შემოხვიდე ტყეში შეშაზე, თორემ დაგამტვრევ.

მეორე წელს იმავე ადგილზე გლეხმა ჭვავი დათესა. შემდეგ მოსამკელად მივიდა, დათვი ისევ იქ დახვდა.

— ახლა კი ვეღარ მომატყუებ, მომეცი ჩემი წილი!

— გლეხმა უპასუხა:

— კარგი, ჩემო დათუნია, ძირები შენ წაიღე, ჩემთვის კიდევ ზედა ნაწილი იყოს.

მაი მომკეს ჭვავი. გლეხმა დათვს ძირები დაუტოვა, ხოლო თავისი წილი ჭვავი დაყარა ურემზე და შინისაკენ წაიღო.

დათვმა იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ჭვავის ძირებიდან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა, ძალიან გაჯავრდა გლეხზე და ამის შემდეგ ისინი ერთმანეთის მტრები გახდნენ.

თარგმანი **ლავრენტი ჭიჭინაძისა.**

გრიგოლ ცეცხლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(პოემა)

I

ზოგი ბავშვი ზარმაცია,
ცუდლუტია ზოგი,
იმათ არა ჰგვანან
თამაზი და გოგი.
თვით საბავშვო ბაღიდან
მეგობრები არიან,
პატივს სცემენ ერთმანეთს,
ერთმანეთს შეჰხარიან.
უყვართ სწავლა, წიგნები
და გართობა-თამაშიც.
კინოშიაც დადიან,
ოპერაშიც, დრამაშიც,
სტალინის სერიდანაც
თბილისს თავს დასცქერიან
და საყვარელ ბელადზე
სიმღერებსაც მღერიან.
ჩვენი მუზეუმებიც
აქვთ ერთთავად დავლილი,
მათთან სხვებიც დადიან:
ნელი, შოთა და ლილი.
მათთან ექსკურსიები
ლილის უყვარს ძალიან,
მაგრამ ამ ბიჭებივით
იმას არა სცალიან:
სწავლობს ცეკვას, მუსიკას,
სწავლობს ფრანგულ ენასა,
ხელმძღვანელობს მუდმივად
იგი სკოლის სცენასა,
მაგრამ როცა ახერხებს,
დროს იმათთან ატარებს,
თავის სახლშიც ჰპატიჟებს
ამ მეგობრებს პატარებს.

II

მშვენიერი დღე იყო,
დღე მზიანი, ცხრათვალა,
ლილიმ თვითმფრინავები
ცაში ბევრჯერ დათვალა.
ზოგი ჰბაძავს მიმინოს
და აკეთებს ირაოს,
ზოგი კუდმაკრატელა
მერცხალივით ყირაობს.
ზოგი ზეცას გაეკრა,
მოჩანს წერტილივითა,
ზოგი დაბლა ეშვება,
ჩამოდის ლივლივითა.
აქ გოგი და თამაზიც
ერთობოდნენ ცხენითა,
შეხაროდნენ პილოტებს,
თრთოდნენ გულის ძგერითა...
ამ დროს მათთან მივიდა
და მიესალმა ნელი:
— წამომყევი სადგურში,
მე დღეს მამიდას ველი!
გოგიმ უთხრა თამაზსა:
— წავყვეთ, რა იქნებაო.
თამაზიც დაეთანხმა:
— იყოს თქვენი ნებაო.

III

მგზავრთა საცდელ დარბაზში
ხმა ისმოდა ქაქანის,
გოგიმ სწრაფად იყიდა
ბილეთები ბაქანის.
რადიომ თქვა: „გაუშვით,
ბათუმ-თბილისს ვინც ელი!“
და გოგი და თამაზი
გაჰყვნენ პატარა ნელის.
ელმავალი გაჩერდა,
გადმოდიან მგზავრები,
ზოგი პირმომცინარე,
ზოგი განაჯავრები,
ზოგი მოდის კალათით,
ზოგი ჩემოდნებითა,
ზოგს აკიდო უჭირავს,
მოდის ნებანებითა.
ჰა, კოპწია ქალები
ფერად თაიგულებით...
მთელი მატარებელი
დაიცალა სრულებით...
გადაწყვეტეს: — „მამიდა
აღარ მოდის, აღარა...“
ამ დროს გოგიმ შენიშნა
ერთი კაცი ჭაღარა:
ჯიბეებში ხელს იყოფს
სახეშეშფოთებული.
— „შეხე, — ამბობს თამაზი, —
ალბათ, დაკარგა ფული...“
იჩხრეკს ჯიბე-უბეებს
ბერიკაცი ჭაღარა,
მაგრამ რასაც დაეძებს,
ჩანს, არ არის, აღარა...
მგზავრები შეეკითხნენ:
„რად ხარ შეშფოთებული,
რატომ იჩხრეკ ჯიბეებს,
ხომ არ დაკარგე ფული?“
მოხუცმა უპასუხა:
— „არა, თან მაქვს მე ფული,
მაგრამ სხვა რამ მაწუხებს,
მით ვარ შეშფოთებული.
როგორც ჩანს, მე დავკარგე
მისამართი შვილისა,
აღარ ვიცი რა ღა ვქნა,
როგორ მივაგნო ისა.“
გოგიმ უთხრა მეგობრებს:
მოდი და ეუშველოთო,
თორემ დაიკარგება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხუცი უჩვენოდო.
გოგიმ თავის გახზრახვა
აღარ დააგვიანა,
მიესალმა მოხუც კაცს
მორიდებით, ჭკვიანად,
უთხრა: რაც დაგემართათ,
გავიგონეთ ყველაო,
და იმიტომ მოვსულვართ,
გვინდა თქვენი შველაო.
იმ მოხუცმა ყმაწვილებს
კარგად ახედ-დახედა,
შემდეგ უთხრა ალერსით,
ტკბილად, არა მკვახედა:
ყმაწვილებო, გეტყობათ,
გაქვთ კეთილი გულიო,
მაგრამ ჩემი საქმეა
მეტად ჩახლართულიო.
გოგი ეტყვის: „ბაბუა,
ნუ დაფრთხები მაგითა!
არის სამისამართო
ამ ქალაქში მაგიდა
და ყველა აქ მცხოვრები
იქ არის აღრიცხული,
წამოგვყევი, ნუ შიშობ,
ნუ გაგტეხია გული.
თქვენი შვილის მისამართს
ჩვენ გავიგებთ ხელადა!
დღეს ისე კი არაა,
როგორც თქვენს დროს,
ძველადა...
მოხუცმა თქვა: „ბიჭიკო,
შენ კი გენაცვალები,
გეტყობა, ჭკვიანი ხარ,
მოხუცს დაეხმარები“.

IV

მოხუცი და ბავშვები
აიბარგნენ, მიდიან,
მოხუცს დიდი ხურჯინი
მხარზე გადუკიდია,
წინ გოგი მიუძღვება,
მას უჭირავს ხელადა,
ნელი ლამაზ აკიდოს
მიაქანებს გრძელადა
და თამაზსაც კალათი
შემოუდგამს მხარზედა...
მიდგნენ სამისამართო
მაგიდისა კარზედა.
კარი გოგიმ შეაღო,
იმას მიჰყვნენ ყველანი,
გოგიმ ხელად მონახა
კალამი და მელანი.
მიდგა ვიწრო სარკმელთან,
ბლანკი სწრაფად იყიდა,
საქმეს მეთაურობდა
იგი დიდი რიხითა.
— „სახელს, მამის სახელსა
და გვარს თქვენი შვილისა
მე აქ ჩავწერ, ამ ბლანკზე,
მიკარნახეთ თქვენ ისა!“ —
უთხრა გოგიმ მოხუც კაცს
საქმიანად, ჭკვიანად,
და მოხუცმაც კარნახი
აღარ დააგვიანა:
— „აფრასიონ გიგოს-ძე,
მიმინოშვილი გვარი“...
გოგიმ სწრაფად ჩაწერა:
პასუხიც იყო ჩქარი:
— „აფრასიონ გიგოს-ძე,
მიმინოშვილი გვარი,
რუსთაველის პროსპექტზე
თორმეტ ნომერში არი...“
ნელი ამბობს: — „ბაბუა,
ერთი მიმინოშვილი
ჩვენთან სწავლობს სკოლაში,
სახელად ჰქვია ლილი...“
აქ გოგიმ და თამაზმაც
დაიძახეს ერთპირად:
— „ლილის მისამართია,
ჩვენ ვყოფილვართ იქ
ხშირად!“
მოხუცმა თქვა: „ჰო ლილი
ჩემი შვილიშვილია,
მისთვის მომაქს ხურჯინით
მე სხვადასხვა ხილია!“
მხიარულობს მოხუცი,
დიდად კმაყოფილია.

V

მოხუცი და ბავშვები
აიბარგნენ, მიდიან:
მოხუცს დიდი ხურჯინი
მხარზე გადუკიდია.
წინ გოგი მიუძღვება,
მას უჭირავს ხელადა,
ნელი ლამაზ აკიდოს
მიაქანებს გრძელადა
და თამაზსაც კალათი
შემოუდგამს მხარზედა...
ასე დატვირთულები
მიდგნენ ლილის კარზედა.
ლილი თავის ბაბუას
ჰკოცნის გახარებული,
სახლში მიიპატიჟა
შემდეგ მთელი კრებული.
ყმაწვილები გაერთნენ,
ჭამეს კარგი ხილები
და სახლებში დაბრუნდნენ
დიდად კმაყოფილები.

დავით შამათავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიუტი

(ზღაპარი)

ბეკეკუნას დედას, ნაცარა ბელას, სამი შვილი ჰყავდა: კიკინა, ბეკეკუნა და ბეკეკო. ძმები სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს.

კიკინა უცნაური იყო, დაუდეგარი. მთელი დღე დაეხეტებოდა პატრონის ეზოში და განუწყვეტლივ კიკინებდა. ხოლო ბეკეკო კი აშკარა მეტიჩარა იყო. ეზოში არავის კადრულობდა, მარტოდმარტო დადიოდა გაყინჩული. ხანდახან ბაღშიც იცოდა შებრძანება.

ბეკეკუნა კი სულ მამას ჰგავდა. ძმებში ჯიუტობით გამოირჩეოდა, პატრონსა და დედას არაფერს უჯერებდა. ბომბორას რჩევასაც ერთხელაც არ ათხოვა ყური, ხოლო დინჯი ღრუტუნიას დარიგება სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა.

პატრონის ბიჭიკოს, თემურს, ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს მათთან თამაშს ანდომებდა. ბეკეკებსაც უყვარდათ თემური, რომელთანაც ბეკეკო მეტიჩრობას ივიწყებდა, ბეკეკუნა — ჯიუტობას, ხოლო კიკინანაკლებად კიკინებდა.

ერთხელ, მკის დროს, დედამ თემურს სადილი გაატანა მამასთან მინდვრად. იმ



დღეს ბელაც შინ არ იყო, ნახირს გააყოლეს მთაში. მიმავალ თემურს ძმებმა ჭიშკრამდე მისდიეს. ბიჭიკომ სათითაოდ მიუალერსა მათ და თავის გზას გაუდგა.

— ეჰ, მოსაწყენია მარტო ყოფნა! – წაიბუტბუტა ბოლოს კიკინამ.

— ერთი ამას დამიხედეთ, ამ ენაჭარტალას! მე მრცხვენია, შენისთანა ტლიკინა ძმა რომ მყავს! — თქვა ბეკეკომ.

— ჰე, მე თქვენი აყოლა არ მარგია! — ამოიღო ხმა დაფიქრებულმა ბეკეკუნამ და ჭიშკარს მიაწვა თავით.

— შენ საით, ძმაო?! – შეეკითხა კიკინა.

— ტყეში და მინდორში, მომწყინდა აქ, იქ ანკარა წყაროა და უამრავი ნეკერი. გინდა?! წამოდი!

— არ შეიძლება, ხომ გახსოვს, დედამ რა თქვა, მგლის არ გეშინია? — კანკალით ეუბნებოდა იგი ძმას (კიკინა მშიშარაც იყო).

— არა, მე ასე მსურს, მგლის სულაც არ მეშინია, მე საკმაოდ გამიმაგრდა ჩლიქები და რქებიც წამომეზარდა! – მიუგო მან ძმას და ბომბორას სადგომისაკენ გაიხედა.

ბომბორას, სიცხით შეწუხებულს, თვალები მიეღულა და თვლემდა. ბეკეკუნა მიაწვა ჭიშკარს, გააღო და გზაზე გავიდა.

— მოიცა, ძმაო, თორემ ინახებ, მგელი გაიხსენე... — მისძახოდა კიკინა, მაგრამ ძმამ ყურიც არ ათხოვა.

თაკარა შუადღის სიცხე იყო და გზაზე არავინ ჩანდა. სოფლის ბოლოს ბეკეკუნას თაგუნია შეხვდა, სოროდან გამოსულიყო და ჩრდილქვეშ გრილდებოდა. თაგუნია დარბაისლურად მიესალმა ბეკეკას, ისე,

როგორც შეშვენის ზრდილ თაგვს, და ბოლოს ჰკითხა საით მიბრძანდებიო. თაგვმა რომ გაიგო ბეკეკუნას სურვილი, თავაზიანად ურჩია:

— შინ დაბრუნდი, ჩემო ბეკეკუნა, თორემ ტყეში ხიფათს გადაეყრები, სხვა რომ არა იყოს, მგლისა არ გეშინიან?

ბეკეკუნამ არ მიიღო თაგვის რჩევა და მედიდურად უპასუხა:

— არა, მე ასე მსურს, მგლის არ მეშინია, მე საკმაოდ გამიმაგრდა ჩლიქები და რქებიც წამომეზარდა!

— როგორც გენებოს! — უკმაყოფილოდ თქვა თაგუნიამ, — ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, მაგრამ ხიფათს რომ წააწყდები, მაშინღა გაგახსენდება თხილიპარია წრიპინაშვილი...

ბეკეკუნამ უმადურად შეხედა თაგუნიას, სიტყვა ბოლომდე არ მოუსმინა და გზა განაგრძო.

ტყის პირას ბეკეკუნა წყაროსთან შეჩერდა. ჩავიდა წყალში და დასიცხული გული გაიგრილა. წასვლა რომ დააპირა, წინ ბაყაყი შეეჩეხა. ყიყინამ მას თავაზიანი სალამი მისცა, შემდეგ გზის მიმართულება ჰკითხა და ბოლოს უთხრა:

— შინ დაბრუნდი, ჩემო ბეკეკუნა, თორემ მგელს ერთ ლუკმადაც არ ეყოფიო.

ბეკეკუნას გული მოუვიდა ამ თავხედ ყიყინაზე და მკვახედ მიუგო:

— შენ მანდ დაეტიე, გომბეშო, არავინ გკითხავს ჩემ გზას! მე მგლის სულაც არ მეშინია, მე ვაჩვენებ მას სეირს! მე უკვე გამიმაგრდა ჩლიქები და რქებიც წამომეზარდა. მგლისა შენ გეშინოდეს, შე საწყალო...

ყიყინამ ერთხანს უყურა მიმავალ სულელ ბეკეკუნას, გულში კი თქვა უგნურიაო და ბოლოს უდარდელად გადაეშვა გუბეში.

შევიდა თუ არა ტყეში ბეკეკუნა, ძლიერ გამხიარულდა, მას ძალიან მოეწონა დაბურული ტყე.

ბეკეკუნა პირდაპირ ერთი მოზრდილი ბუჩქისკენ გაეშურა და ნეკერს დაუწყო კვნეტა. ბოლოს ბუჩქი შეინძრა და იქიდან კურდღელი გამოხტა. ყურაქვიტა და ბეკეკა ერთმანეთს ზრდილობიანად მიესალმენ და ბევრი ისაუბრეს მეგობრულად. ბოლოს ყურაქვიტამ თავაზიანად სტაფილო მიართვა სტუმარს, მაგრამ ბეკეკუნამ ნეკერი არჩია.

წასვლის დროს ყურაქვიტამ ბეკეკუნას გაცილება მოინდომა, მაგრამ სტუმარმა უთხრა ტყის შუაგულისაკენ მივდივარ სასეირნოდ და ჯერ სრულებით არ ვფიქრობ შინ დაბრუნებასო.

— იქეთ საშიშოა, მუხნარში მგელია და შეიძლება ფათერაკს შეეყარო, სჯობს

შინ დაბრუნდე, — ურჩია მორიდებით კურდღელმა.

— არა, მე სრულებით არ მეშინია ჩერჩეტი მგლისა: ხომ ხედავ, მე უკვე გამიმაგრდა ჩლიქები და რქებიც საკმაოდ წამომეზარდა! — თქვა ჯიუტად ბეკეკუნამ.

უშიშრად მიდიოდა ბეკეკუნა, თუმცა რაც ტყის სიღრმეში შედიოდა, უფრო მეტი სიწყნარე იყო და ეს ცოტათი აფიქრებდა.

ამ დროს უცებ ტყეში სიმღერა მოისმა, მაგრამ ბეკეკამ ვერ გაარკვია, ვისი იყო ეს ხმა, ან რას მღეროდა. ეგი: თურმე, კურდღლისა და ბეკეკუნას საუბარს ყურს უგდებდა კუდბუთქუნა მელიკო და

ფეხდაფეხ მოსდევდა ,ბეკეკუნას. მელია არხეინად ღიღინებდა:

ბეკეკუნა, გენაცვალე,
ლამაზო და მსუქანაო,
ნეტავ შენი თავი მომცა
ჩემი სოროს უკანაო!

ღიღინი რომ შეწყდა, ბეკეკუნამ მელია დაინახა. ბეკეკუნამ ზრდილობიანად დახარა თავი და მელას მიესალმა:

— ქალბატონ მელიკოს ვახლავარ!

— ოჰ, გაიზარდე დიდი ბიჭი, ჩემო შვილო, ჩემო ბეკეკუნა! ბეჩავი დედაშენი ბელა როგორაა, ძმები ხომ ჯანმრთელად არიან?!

— ყველანი კარგად არიან, ყველანი!

— შენ მარტო გამოისეირნე ტყისაკენ, თუ დედაშენიც გახლავს?! — შეეკითხა ცბიერი მელიკო.

— სულ მარტო. მე ხომ პატარა აღარ ვარ, ჩლიქები უკვე გამიმაგრდა და რქებიც საკმაოდ წამომეზარდა!

— ო, დიდი გაიზარდე, ჩემო ბიჭო, დიდი, ისე გამახარე შენი ნახვით, რომ პირდაპირ არ ვიცი რა ვთქვა, — ეუბნება და წუწკი მელიკო. — თუმცა რა ჩემი ცხოვრება ბიძაშენის კუდბუთქუნას სიკვდილის შემდეგ... ეჰ, როგორღა ვარ ცოცხალი...

— როგორ, უკვე გარდაიცვალა?! — შეეკითხა მიამიტი ბეკეკუნა.

— მაშ, დავიღუპე, ჩემო შვილო, დავიღუპე, მარშან ახალწლისათვის ვემზადებოდით, ბაზროობიდან დავბრუნდით სანოვაგით... დიდი თოვლი იყო... მარხილი სოროს წინ დავაყენეთ. ის იყო გადმოვედით, რომ იჭექა მონადირის თოფმა და ჩემი ბეჩავი კუდბუთქუნა იქვე ჩაიკეცა. ამის თქმა მოასწრო მხოლოდ: თავს გაუფრთხილდი და სინდის-ნამუსსო. მოკვდა ის გაჭირვებული მერე რა ვაჟკაცი იყო, მთელ ტყეში განთქმული იყო, ვინ არ იცნობდა, წიფლნარსა და მუხნარში — ყველგან იყო მისი სახელი გავარდნილი. ეჰ! — ღრმად ამოიხვნეშა მელიკომ, შეჩერდა თათი თვალებზე მიიდო და ორად-ორი ცრემლი დაეცა მის წინ.

(გაგრძელება იქნება)

ადამ ჩხაიძე

იგოდდას ნახატი

ამ ხარს ქონდრის ფეხები აქვს,
ოთხის ნაცვლად, მგონი, ათი,
რქა ცხვირზე აქვს, თვალი ზურგზე
და დგას როგორც გოლიათი.

არც შინაურს, არც გარეულს,
ჩვეულებრივს არ ჰგავს ხარებს,
ერთი მ ოხარ, ეს ცხოველი
სად გაზარდე, რომელ მხარეს?

საცოხნარი აღარა აქვს,
რქა საყანწედ არ უვარგა,
ხე მიგიბამს კუდის ნაცვლად,
თავი ზურგზე ადევს ბარგად.

არც შინაურს, არც გარეულს,
ჩვეულებრივს არ ჰგავს ხარებს,
ჩემს არქივში დაბალახობს,
მაცინებს და მახარხარებს.

ზოგი რამ ამერიკის ცხოვრებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი უმუშევარი, რამდენიც ამერიკაში. 1937 წლის აღწერით, ამერიკაში უმუშევართა რიცხვი 12 მილიონს აღწევს. უმუშევართა ეს ვეებერთელა არმია წლობით დაეხეტება ამერიკის დიდი ქალაქის ქუჩებში, რათა სამუშაო იშოვნოს და არსებობისათვის აუცილებელი ლუკმაპური მოიპოვოს.

მაგრამ ამ მილიონიანი არმიიდან რამდენიმე ერთეულს თუ გაუღიმებს ბედი და მოეწყობა სადმე შავ სამუშაოზე, დანარჩენი უმუშევრები კი იძულებულნი არიან მიმართონ ქურდობას, ყაჩაღობას და სხვა უმსგავსოებას, რითაც კი არსებობისათვის საჭირო საზრდოს იშოვნიან. სწორედ ამიტომაა, რომ ამერიკაში, ამ ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, ყველაზე მეტი ყაჩაღობაა. ცნობილია, რომ ნიუ-იორკის მთავარ ქუჩებში დღისით ბანდიტები ისე გაცარცვამენ რომელიმე მოქალაქეს, რომ ამის შესახებ ვერავინ ხმას ვერ იღებს. თვით მოქალაქე ხომ, შიშისაგან ენაჩავარდნილი, ყოველგვარ დათმობაზე მიდის, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს.

არ გეგონოთ, რომ ეს ბანდიტობა რამდენიმე ასი წლის წინათ ხდებოდა. არა, ეს ეხლა ხდება, ჩვენს დროში — 1937 1938 წლის ამერიკაში.

ნიუ-იორკში ჩვეულებრივად ქალებიც ყაჩაღობენ, ეს ყველა მოქალაქემ იცის და საეჭვო ადგილას ქალებისაც ისევე ეშინიათ, როგორც მამაკაცებისა.

აი ერთი მაგალითი: თვრამეტი წლის ქალი სოული შეუთანხმდა 20 წლის ქალ ჟენევიევას, მოიპარა რევოლვერი და გაემართა საყაჩაღოდ. თავზე ხელაღებულმა ქალებმა მოიტაცეს დროებით მიტოვებული მანქანა და გაემართნენ ქალაქ გარეთ. კარგახნის შემდეგ ბენზინის მისაღებად გაჩერდნენ. გამყიდველმა ბენზინის ბაკი აავსო სალაროში შევიდა, რათა ახალგაზრდა ქალისაგან ფული მიეღო; ქალმა მოულოდნელად იძრო რევოლვერი და დაიძახა: „სალაროს ვქურდავთ, მოშორდით აქედან“ (ეს ფრაზა ჩვეულებრივია გაქურდვის დროს). იქ მდგომნი ყველანი გაიქცნენ და ყაჩაღმა ქალებმა სალაროდან 20 დოლარი გაიტაცეს. ამის შემდეგ ქალები გზის პირას ჩასაფრდნენ და ელოდნენ მსხვერპლს. შორიდან ავტო გამოჩნდა. სოული გზაზე დადგა და მოახლოვებულ ავტობუსს გაჩერების ნიშნად ხელი აუწია. შოფერს გაუხარდა მგზავრი ვიშოვეო და სწრაფად შეაჩერა. ახალგაზრდა ქალი ელვის სისწრაფით შეხტა ავტოზე და კმაყოფილმა შოფერმა მანქანა ადგილიდან დასძრა. მაგრამ მალე იგრძნო რევოლვერის ცივი ტუჩის შეხება და წინააღმდეგობის გაწევა დააპირა. იქუხა რევოლვერმა და შოფერი უსულოდ მიაწვა საჭეს. სოულმა გაძარცვა სალარო, ავტობუსი მიატოვა და ახლა სხვა მსხვერპლს დაუწყო ძებნა.

ნიუ-იორკში ბანდიტები ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა ფული იშოვნონ. ფულის შოვნისათვის ყველაზე სარფიან საქმედ ცოცხალი ადამიანის მოტაცება ითვლება. ბანდიტები განსაკუთრებით ბავშვებს ემტერებიან. მოიტაცებენ რომელიმე უსუსურ ბალღს, ერთხანს მშიერ-მწყურვალს ამყოფებენ თავიანთას და შემდეგ, განაწამებ ბავშვს თუ კი წერა შეუძლია, დააწერინებენ წერილს მშობლებისადმი, რათა მათ გამოისყიდონ იგი საშინელი ტანჯვისაგან. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მშობლებიც ჰგზავნიან ფულს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მათ შვილი არ უბრუნდებათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობლები პოლიციას მიჰმართავენ.

1938 წლის გაზაფხულზე ბანდიტებმა მოიტაცეს ცნობილი ნიუ-იორკელი ვექი-

39 265.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის — ლევინის 12 წლის ბავშვი: ბანდიტები დიდიხნის განმავლობაში დუმდნენ. მშობლებს არაფერს სთხოვდნენ. შეწუხებულმა მამამ მთელი ქალაქი შეძრა, ბავშვის მომტაცებლებს მიჰმართა გაზეთებით, რადიოთი და სხვა საშუალებით. ბოლოს ბანდიტებმა მამას წერილი გაუგზავნეს, (რასაკვირველია, ხელი არ მოუწერიათ) და სთხოვდნენ 60 ათას დოლარს. წერილის მეორე მხარეზე ბავშვის ხელით ეწერა:

„ძვირფასო მამავ, გეხვეწები, მიეცი ამ ხალხს ფული, მე მთლად გავიყინე. პეტრე“.

მამა მზად იყო მიეცა მთელი თავისი ქონება, ოღონდ საკუთარი შვილი დაებრუნებინა, მაგრამ ვერ მოასწრო: ბანდიტებმა შენიშნეს რა საქმეში პოლიცია ერეოდა, პასუხიც არ გასცეს ლევინს, მხეცურად მოჰკლეს ბავშვი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეთევზეებმა პატარა პეტრეს გვამი ოკეანეში იპოვეს. გვამი დასახიჩრებული იყო და მხოლოდ პერანგით იცნეს 12 წლის პეტრე.

ამის მსგავსი შემთხვევები მრავალია ნიუ-იორკში. იტაცებენ ბავშვებს, ახლადშეუღლებულებს და მოხუცებსაც, თუ კი ბევრი ფული შეაგულეს. ამერიკული პრესა ამისთანა სენსაციური ამბებით სავსეა და საზოგადოებაც კითხულობს როგორც ჩვეულებრივ ცნობებს. ასეთია კაპიტალისტური ქალაქის საშინელი სინამდვილე. უმუშევრობისა და კერძო მფლობელებისაგან შევიწროვებულ ხალხს ისღა დარჩენია, რომ ყაჩაღობასა და ცარცვა-გლეჯას მიმართოს.

ციბალა

ორ მეგობარს რვა ლიტრი ღვინო აქვს გასაყოფი. ღვინო იმყოფება ზუსტად რვალიტრიან ჭურჭელში. ამ ჭურჭლის გარდა მათ ხელთაა კიდევ ორი ცარიელი ჭურჭელი: ერთი ხუთლიტრიანი და მეორეც სამლიტრიანი. მეგობრებმა ღვინო თანასწორად უნდა გაიყონ, ე. ი. თითოს 4 ლიტრი უნდა შეხვდეს. როგორ გაიყოფენ ისინი ღვინოს, თუ გაყოფის დროს მხოლოდ და მხოლოდ ამ სამი ჭურჭლით ისარგებლებენ?

ᲕᲘᲡᲘᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ?

ერთმა კაცმა თავის მეგობრებს ბიჭის პორტრეტი აჩვენა და განმარტა: „მე არც დები მყავს და არც ძმები, მაგრამ ამ ბიჭის მამა მამაჩემის მამის შვილიშვილი იყო“-ო.

ვისია პორტრეტი?.